ჩემი საქართველო

№88, მარტი, 2024

რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანმანათლებლო-შემეცნებითი გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეროობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები

გარი ჩაფიძე: – წარმატება პასუხისმგებლობაა!

ღმერთი ადამიანთა მცირე ნაწილს აძლევს საშუალებას, იყოს ჭეშმარიტი პედაგოგი. ზოგიერთები კი ამას მთელი სიცოცხლე სწავლობენ, რამეთუ პედაგოგიკა ყველაზე მდიდარი სპეციალობაა სულიერების ქვაკუთხედის შექმნით, დიახ, პედაგოგებს დიდი სიფრთხილე გვმართებს დღეს, გონების არნახული განვითარების ეპოქაში, როდესაც ახალგაზრობა მხოლოდ ჩვენი ლექციებით არ სულდგმულობს, როდესაც მათ ხელთაა უამრავი ინფორმაციის წყარო, ათასგვარი ხერხით ცდილობენ დაიოკონ ცნობისწადილი, მაგრამ მთავარი მიმართულების მიმცემი მაინც ჩვენ ვართ, მუდამ გვახსოვდეს, რომ აღმზრდელი პასუხს აგებს ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე...

თვით ცხოვრებამ დაწერა კანონი ადამიანის ეულად ყოფნის შესაძლებლობაზე, სიცოცხლე მაშინაა საინტერესო, სიმდიდრეც მაშინაა სიმდიდრე, სილამაზეც მაშინაა მომხიბვლელი, დიდების კვარცხლბეკზე ასვლაც მაშინაა ნამდვილი და ყველაფერი ეს მაშინ მოგვანიჭებს ჭეშმარიტ ბედნიერებას, როცა მას ვინმე იზიარებს, ჰყავს გულითადი შემფასებელი და დამფასებელი მეგობრის, მოკეთის და ზოგადად, ადამიანის სახით.

მეგობრობას არა აქვს საგანი, მას ცხოვრება გვასწავლის. მეგობრობისათვის არ არსებობს დროისა და მანძილის პრობლემა, მთავარია სწორად გვესმოდეს მისი აზრი და სიკეთის უზადო სურვილი გვმოძღვრავდეს.

და გვაქვს უფლება მცირედაც მოვადუნოთ ყურადღება ერთმანეთის მიმართ? გვაქვს უფლება არ ვიყოთ კაცთმოყვარენი? არ ვითვისებდეთ ადამიანთა ხედვისა და შეცნობის ბრძნულ მეცნიერებას? არა, ნამდვილად არა! ეს დანაშაულია, – „იყო ადამიანი, ნიშნავს გრძნობდე შენს პასუხისმგებლობას“, პასუხისმგებლობა კი, თანაბრად სერიოზულია ყველასათვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტად მაინც ის აგებს პასუხს, ვისაც ყოველდღიური, მთრთოლვარე, შემოქმედებითი კავშირი აქვს მოზარდებთან, მომავლის ადამიანებთან. სწორედ მომავლის ადამიანებისათვის შეიქმნა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხესა და საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში. მოგეხსენებათ, რომ სადაც დისციპლინა მოისუსტებს, იქ სწავლის ხარისხზე საუბარიც ზედმეტია! – სწორედ ამიტომ ჩვენი სასწავლო ცენტრები მაღალი პასუხისმგებლობითა და ცოდნის უმაღლესი დონითაა გამორჩეული... განათლება ვერ ეგუება ჩარჩოებს, ამის ნათელი დასტური ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით ქ.რუსთავში შექმნილი აკადემიური ქალაქია, სადაც ბაგა-ბაღიდან დაწყებული – დოქტორანტურით დამთავრებული განათლების ყველა საფეხურია გახსნილი! – ბაგა-ბაღი კი... თვითმფრინავში, იაკ-40-ის სალონში გავხსენით და არამარტო ამ ტექნიკური მხარით, არამედ აღზრდის ახლებური მეთოდების გამოყენებით მოვექეცით მსოფლიო საგანამათლებლო სივრცის ყურადღების ცენტრში! როგორი უნდა იყოს სკოლა, საიდანაც ცოდნის დაუფლების გარეშე წასვლის სურვილი ყველა მოსწავლეს გაუქრება?! – შეკითხვა, რომელზედაც პასუხი საუკუნეებია აინტერესებს საზოგადოებას, მომავლის სკოლის გასაღები ჩვენს ხელშია! – ჩვენ ვიცით როგორი იდეა უნდა შევთავაზოთ თანამედროვე ახალგაზრდობას! ასევე რუდუნებით დავიწყეთ სასწავლო ცენტრების შექმნა. თავიდანვე ცნობილი გახლდათ, რომ აუდიტორული სისტემა ბევრს ვერაფერს მოგვცემდა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულ კურსთან ერთად ჩვენი სტუდენტები პირველსავე კურსებიდან გადიან პრაქტიკებს სპეციალობათა მიხედვით შესაბამის სტრუქტურებში, მაინც, ჩვენს აკადემიურ ქალაქში გადავწყვიტეთ შეგვექმნა იმიტირებული სწავლების ფორმატით აფთიაქი, ინტერნეტ-ტელევიზია AcademTV-info, აკადემბანკი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მუზეუმი, კაფე, იურიდიული კლინიკა, მიზანში სროლის სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა ყველა საჭირო წიგნითა და მათივე ელექტრონული ვერსიებით, სამედიცინო საწარმო „აკადემფარმი“, ქართული ეროვნული სუვენირების საწარმო, გვაქვს საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისათვის და სხვა. ანალოგიური, რუსთავის მსგავსი აკადემიური ქალაქების აშენება იგეგმება ოზურგეთში, ლაგოდეხსა და თელავში, ხოლო შემდეგ სხვა რაიონებსაც მოვიცავთ! სწორედ მომავალი თაობების აღზრდისადმი განსაკუთრებული რუდუნებისათვის ჩვენი სასწავლებელი დაჯილდოებულია მსოფლიო მეცნიერების უმაღლესი რანგის ჯილდოებით, გარდა აღნიშნული მიმართულებისა რუსთავის აკადემიურ ქალაქში მაღალ დონეზე და წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი, ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის საქართველოს წარმომადგენლობა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებითაა და სტუდენტები სრულიად უფასოდ ეუფლებიან არჩეულ პროფესიას, ჩვენ ყოველთვის გვახსოვს: – დიდი წარმატება, დიდი პასუხისმგებლობაა!

რას წერენ ჩვენზე

აკადემიურ ქალაქში ყველაფერი აკადემიურია

ჩვენი ქვეყნის და, არა მარტო ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, საკმაოდ პოპულარულია რუსთავის აკადემიური ქალაქი თავისი მაღალი ხარისხის სასწავლო პროცესითა და

პროფესიონალი კადრების მომზადების მაჩვენებლებით.

აკადემიური ქალაქის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე გვესაუბრება აკადემიკოსი გარი ჩაფიძე:

– ამქვეყნად ყველასა და ყველაფერს აქვს თავისი ისტორია, რა თქმა უნდა, ჩვენს საგანამთლებლო სივრცესაც. თხუტმეტი წლის წინ დავმკვიდრდი რუსთავში და, როგორც რუსთაველ კაცს, მქონდა დიდი სურვილი, რაღაც სასარგებლო გამეკეთებინა ჩვენი ქალაქისა და, საერთოდ, ქვეყნისათვის. მქონდა საკმაო საგანმანათლებლო გამოცდილება: ვიყავი თბილისის უნივერსიტეტ „გაენათი“-ს პრორექტორი, ასევე, ჰუმანიტარული კოლეჯის რექტორი საერთაშორისო სამეცნიერო წოდებით - პროფესორი და, როგორც პრეზიდენტი, ვხელმღვანელობდი საქართველოს საერთაშორისო აკადემიას.

ამ გამოცდილებით შევუდექი საგანამათლებლო მოღვაწეობას რუსთავში.

დავიწყე იმით, რომ დავაფუძნე საქართველოს საერო უნივერსიტეტი „გაენათი“-ს ფილიალი.

ამავდროულად ჩამოვაყალიბე საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის კოლეჯი.

პარალელურად, ამირჩიეს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარედ.

ამ დროისათვის, აგრეთვე, ვხელმძღვანელობდი საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირს, ასევე, საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირს.

თავიდანვე ვიგრძენით მხარდაჭერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, რუსთავის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობისაგან.

მეორე ნაბიჯი იყო ისე, რომ აკადემიური ქალაქის ირგვლივ შემოვიკრიბეთ რუსთავის ელიტარული სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი რეხვიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ციალა გორდეზიანი, ისტორიკოსი ვახტანგ ჯაფარიძე, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კლარა მალაზონია, ფილოლოგი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი დურმიშხან კუპატაძე და სხვები.

წარმატება პირველი დღეებიდანვე ვიგრძენით. აბიტურიენტთა დიდი ნაკადი მოვიდა. 500-ზე მეტი სტუდენტი, სასწავლო პროცესი ევროსტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარეობდა. ამას ემატებოდა სპეციალური კლასები იმიტირებული სწავლებისათვის. სტუდენტთა რაოდენობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განაპირობა მოთხოვნადი სპეციალობის ფაკულტეტების არსებობამ. ამ წარმატებამ კოლეჯს მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა.

იმავე წელს ჩვენი კოლეჯის ფილიალები გაიხსნა საქართველოს 28 ადმინისტრაციულ ცენტრში, მათ შორის: ანაკლიაში, ოზურგეთში, ზესტაფონში, ტყიბულში, თერჯოლაში, ხაშურში, ახალციხეში, გორში, მცხეთაში, დუშეთში, თბილისში, დმანისში, საგარეჯოში, წალკაში, მარნეულში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, თელავში, ლაგოდეხში, გურჯაანში, ახმეტაში...

თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე კოლეჯმა მოამზადა ათასობით მოთხოვნადი სპეციალობის პროფესიონალი, ყველა დასაქმებულია პროფესიის შესაბამისად.

ამავდროულად, ორიოდე წლის წინ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ავტორიზაცია გაიარა რუსთავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულმა კოლეჯმა, სადაც სწავლება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და სტუდენტთა უწყვეტ ნაკადს ვიღებთ. ამავე კოლეჯთან, ასევე უფასოდ, ფუნქციონირებს მომზადება-გადამზადების კურსები, სადაც რუსთავის პედაგოგიური ელიტის წარმომადგენლები ასწავლიან. კურსდამთავრებულები ასი პროცენტით საქმდებიან შესაბამისი სპეციალობების მიხედვით.



წლევანდელი წელი განსაკუთრებულია ჩვენი აკადემიური ქალაქის ისტორიაში. აკრედიტაცია გაიარა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის ფილიალმა, რაც დიდი მოვლენაა არა მარტო რუსთავის, არამედ მთელი ქვემო ქართლის მასშტაბით. ფილიალი საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საზეიმოდ გაიხსნა სექტემბერში და ყოველდღიურად ახალ ძალებს იკრებს.

ასე რომ, აკადემიური ქალაქის მესვეურებს სასწავლო დაწესებულებების დაფუძნებისა და წარმატებული ფუნქციონირების საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა. ამაზე მეტყველებს ეს ფაქტიც: ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის ეგიდით ევროპაში, კერძოდ, უკრაინის ჩერკასის ოლქში გაიხსნა საზღვარგარეთ პირველი ქართული საუნივერსიტეტო განათლების უნივერსიტეტი, რომლის წარმომადგენლობაც, სტუდენტთა სოლიდარული რაოდენობით, საზეიმოდ დაფუძდა რუსთავის აკადემიურ ქალაქში, წელს, 20 ნოემბრს, დაუსწრებელი სწავლების ფორმით. ფილიალი უკვე ფუნქციონირებს ძალიან მაღალ დონეზე. გვქონდა გასვლითი ლექცია-სემინარები ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებსა და სასწავლო სპეციფიკის გათვალისწინებით – შესაბამის ორგანიზაციებში.

აკადემიურ ქალაქში წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი, რომელიც საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამართალმემკვიდრეა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით ყოველკვარტალურად ეწყობა ლიტერატურულ-შემოქმედებითი კონკურსები, გამარჯვებულები ჯილდოვდებიან შესაბამისი პრემიებით. სერიულად გამოდის კონკურსებში გამარჯვებულ ავტორთა წიგნები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველში, ეწყობა პრეზენტაციები. გამარჯვებული ავტორების ნაწარმოებები იბეჭდება ჩვენსავე ჟურნალში - „სკოლა და ცხოვრება“.

ახლახან, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ეგიდით, გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების პედაგოგებისათვის. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირმა კი გამოაცხადა ლიტერატურული კონკურსი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდებისათვის. მიღებულია უამრავი საკონკურსო მასალა, რომელიც განხილვის პროცესშია...

საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირი მალე გამოაცხადებს ახალ ლიტერატურულ კონკურსს – „იქნებ, ვაზია სამშობლო!“

სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობაში, მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიღწეული სიახლეების გაცნობისა და დანერგვის პროპაგანდაში ჩვენი გამოცდილების გაზიარებაში, ასევე, წარმატებულ ლიტერატურულ შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაციაში გვეხმარება აკადემიური ქალაქის ყოველთვიური გაზეთი „ჩემი საქართველო“ და ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“.

გვაქვს საკუთარი სატელევიზიო სივრცე: – Academtv.ge, ასევე, ადგილობრივი რადიომაუწყებლობა.

მკითხველი დამეთანხმება, რომ რუსთავის აკადემიური ქალაქი დიდ მიზანმიმართულ სამეცნიერო-პედაგოგიურ, აღმზრდელობითსა და შემოქმედებით მოღვაწეობას წარმატებით ახორციელებს. რა თქმა უნდა, ამ მიღწევებს თავიანთი ავტორები ჰყავს, რომელთა გარეშე წარმატებული მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. მუდმივი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუძღვნით ქალაქის ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ასევე, ქველმოქმედ თამაზ გველუკაშვილს.

როგორც აკადემიური ქალაქის ხელმძღვანელთ, მაღალი პროფესიონალიზმისა და მინდობილი საქმისადმი ერთგულებისათვის საჯაროდ ვუცხადებ მადლობას ქალბატონებს: ლეილა გეგეშიძეს, მაკა სამხარაძეს, გენრიეტა აბესაძეს, ეთერ ჭიპაშვილს, ციალა გორდეზიანს, როზა გულისაბედაშვილს, ქეთევან ცისკარიშვილს, ნინო კაკიაშვილს, თამარ ვარსიმაშვილს, ეკა პაპუნაშვილს, ზეინაბ ლამაზოშვილს, ნინო ცუცქირიძეს, თინათინ ხაბურზანიას, მზია არევაძეს, ასევე, ბატონებს: გოჩა ომიაძეს, ვაჟა კანდელაკს, ზურაბ ქსოვრელს...

აკადემიური ქალაქის კარი ყოველთვის ღიაა შემოქმედი ადამიანებისათვის...

თინათინ სიყმაშვილი,
გაზეთი „რუსთავი“ №8 (109752)

ახალი 2024

ერთი კვირის განმავლობაში, წინასწარ შედგენილი პროგრამისა და რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანამალებლო სტრუქტურის სტუდენტთა ჩართულობით, მაღალ დონეზე მიმდინარეობდა კარნავალი, რომელიც საახალწლო

ტყის ზღაპრით გაიხსნა და რომელსაც ჩვენი აკადემიური ქალაქის ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის საკონცერტო დარბაზმა უმასპინძლა, ახალი წელი ხომ სიახლეებთან, ახალ-ახალ აღმოჩენებთან, ახალ მიღწევებთან ასოცირდება, ამიტომაც თავის გამოსვლაში, გულთბილად მიმართა სტუმარ-მასპინძლებს აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ: – „დაე, ეს წელი ყოფილიყოს პირადად თქვენი და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანი აღმშენებლობის, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი! დასახული მიზნების შესრულებით, ახლობელთა, მოკეთეთა, მეგობართა ჯანმრთელობით, მათი ბედნიერებით გეგრძნოთ სიცოცხლის სილამაზე... გისურვებთ წარმატებულ საქმიანობასა და ძლიერებას! მრავალჟამიერ!“

საახალწლო კარნავალში პირველსავე დღიდან აქტიურად ჩაერთნენ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო კორპუსის (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი გენრიეტა აბესაძე) ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქალაქ რუსთავისა და ქალაქ ქუთაისის წარმომადგენლობა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი როზა გულისაბედაშვილი), საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრის (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქეთევან ცისკარიშვილი), ამავე ინსტიტუტის ქ.თბილისის სასწავლო ცენტრის (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი დავით კინწურაშვილი) სტუდენტები, ასევე საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი (თავმჯდომარის მოადგილე ლეილა გეგეშიძე), საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა დ ცხოვრება“ რედაქცია (მთავარი რედაქტორის მოადგილე ეთერი ჭიპაშვილი), საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირი (თავმჯდომარის მოადგილე ნინო კაკიაშვილი), საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირი (თავმჯდომარის მოადგილე მაკა სამხარაძე) და სხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი სამსახურები, საზეიმო კარნავალის კვირეულში მონაწილეობდნენ და 2024 წლის შემობრძანება, დამდეგი შობა-ახალი წელი, ბედნიერებით, სიხარულით, ბარაქით, სითბოთი, ჯანმრთელობითა და სიყვარულით, ახალ-ახალ სიახლეთა დაბადებით, უსურვეს კოლეგებსა და დამსწრე საზოგადოებას კულტურულ-საქველმოქმედო ცენტრის „სალამი“ თავმჯდომარემ მაია რაჯიბოვამ, ქ. თბილისის საკრებულოს ეროვნული უმცირესობის კომისიის თავმჯდომარემ გულია მუსტაფაევამ, ტელეკომპანია „ახალი“-ს გენერალურმა დირექტორმა და დამფუძნებელმა ქეთი მიქაძემ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.თბილისის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა დავით კინწურაშვილმა, ცნობილმა საბავშვო პოეტმა თამარ მახარაშვილმა, რეჟისორმა ნათია ბალაძემ და სხვებმა, დიახ, ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს, მოლოდინით ცვლილებებისა უკეთესობისაკენ, მოლოდინით, რომ დადგება სურვილების ასრულებისა და მიზნების განხორციელების დრო! მრავალჟამიერ!

რუსთავი

პირველი მერცხალი

უკვე მეათე წელია, რას საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის აკადემიური ქალაქის ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობის სტუდენტებს ვასწავლი. არაერთმა ბრწყინვალე სტუდენტმა გაიარა ჩემს ხელში. მე, დღესაც ვამაყობ, რომ მათ ვასწავლიდი და მადლობელი ვარ კიდევაც ამის გამო, რადგან ლექტორისათვის იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როცა ჰყავს სტუდენტი, რომელიც გამორჩეულია, როგორც კარგი აკადემიური მოსწრებით, ასევე ზრდილობით და ადამიანურობით.

ისევ მხვდა წილად ეს ბედნიერება... მყავს სტუდენტი, აზერბაიჯანელი გოგონა – გულნაზ ახმედოვა, რომელიც ამ მხრივ, მართლაც, რომ გამორჩეულია. მესამე წელია, რაც ვასწავლი მას ფარმაცევტულ მეცნიერებებს. ყოველი ლექცია იწყება გულნაზის მიერ არჩეული სპეციალობის სიყვარულის სინდრომით, რომელიც, რა თქმა უნდა, მახარებს და სახელად ამიტომაც, „პირველი მერცხალი“ შევარქვი. ყოველდღიური გამოკითხვა იქნება თუ რეიტინგული წერა, ან გამოცდა, იგი ყოველთვის მომზადებულია ერთი და იგივე დონეზე და ყველა შემთხვევაში შეფასება არის უმაღლესი ქულა...

გარდა იმისა, რომ არის ძალიან გონიერი, არის ასევე დაუღალავი შრომისმოყვარე, კარგად აღზრდილი, სათნო და მუდამ მომღიმარი, მისი ამ თვისებებიდან გამომდინარე იგი სტიმულს აძლევს თავისი ჯგუფის წევრებს, რომ თავადაც იყვნენ მოწესრიგებულები და შრომისმოყვარენი. შედეგი კი ისაა, რომ მთელი ჯგუფი ავლენს საკმაოდ კარგ აკადემიურ მოსწრებას. ვიცი, რომ გულნაზს აქვს ოცნება – გახდეს ექიმი. მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, რომ იქნება მართლაც ძლიერი და საიმედო ექიმი, ამიტომაც ვუსურვებ წარმატებებს ამ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო გზაზე.

აკადემიური ქალაქის დირექციისაგან გულნაზს მიღებული აქვს არაერთი მადლობის წერილი და სიგელი.

ჩვენს სასწავლებელში ქართველებთან ერთად სწავლობენ აზერბაიჯანელი სტუდენტები, რომლებიც ძალიან გვიყვარს და ვაფასებთ. აკადემიური ქალაქის მთელი პედაგოგიური კოლექტივი ენერგიას არ ვიშურებთ, რომ ავღზარდოთ ისინი საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად და მათ მიერ არჩეული საქმის პროფესიონალებად, რადგან გვჯერა, რაც მეტი ასეთი ახალგაზრდა ეყოლება საქართველოს, მით უფრო ძლიერი და წარმატებული იქნება მისი მომავალი...

თინათინ ხაბურზანია,
ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის პედაგოგი.

უკრაინა

ეროვნული ღირებულებებით

ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის ეგიდით და რუსთავის აკადემიური ქალაქის ქართული დელეგაციის ჩართულობით, უკრაინის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მრავალპროფილიანი კოლეჯის ქართული სექტორი დაფუძნდა - „საუკეთესო გადაწყვეტილება“ - ასე უწოდეს აღნიშნული კოლეჯის დაარსებას ადგილობრივებმა, ქალაქ კანევის (ჩერკასის ოლქი, უკრაინა) მოსახლეობამ.

– დღევანდელი დღე, ეს წუთები, ჩემი გაოცების კიდევ ერთი პერიოდია, ჩემი მერობის დროს, ჩემს მშობლიურ და უსაყვარლეს ქალაქში ჯერ უნივერსიტეტი, ამჯერად კი მრავალპროფილიანი საერთაშორსო კოლეჯი, ჩვენთან მცხოვრები მცირე ეროვნული მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე სექტორების გათვალისწინებით შეიქმნა, მადლობა ამისათვის თქვენ, სახელმწიფო მოღვაწევ, აკადემიკოსო ბატონო გარი! ჩვენ გვეამაყება თქვენთან მეგობრობა, თქვენთან საუბარი ხომ ფუნდამენტური მეცნიერების შედევრია! – აღნიშნა ქალაქ კანევის მერმა იგორ რენკასმა მრავალპროფილიანი საერთაშორისო კოლეჯის დაფუძნებისას, განსაკუთრებული რუდუნების დღედ აქცია მოსახლეობამ და ქალაქის ხელისუფლებამ 23 ოქტომბერი, (სიყვითლის თვე, როგორც ამას უკრაინლები უწოდებენ) ამიტომაც ქალაქ კანევის პირველმა ვიცე მერმა ტატიანა ჟივოტოვამ, საქალაქო რადას თავმჯდომარემ ოქსანა პიატკოვმა, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ნადეჟდა გოლდამ უღრმესი მადლობა გადაუხადეს ჩვენს თანამემამულეს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს უკრაინის სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი დიდი წვლილისათვის და აღნიშნეს ამ გასაოცარი ადამიანის განსაკუთრებული ნიჭიერება საერთაშორისო ასპარეზზე, სიახლეთა ძებნის და დანერგვის სრულყოფილების მეთოდს, რომელიც ქართულ, ეროვნულ ღირსებებსაც მოიცავს უერთდება რუსთავის აკადემიური ქალაქი...

ტყიბული

გვჯერა ნათელი მომავლის

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებს შორის ერთ-ერთი ქალაქ ტყიბულის სასწავლო ცენტრია. ამ რაიონში ჩვენი სასწავლებლის დაფუძნებას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. თავდაპირველად სულ რამოდენიმე სტუდენტით, მოკრძალებულად დავიწყეთ სწავლა. იმატა წლებამ და იმატა ჩვენმა სტუდენტთა ნაკადმა. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ რომ ჩვენი სასწავლებელი ერთ-ერთი წარმატებულია ინსტიტუტის

სასწავლო ცენტრებს შორის. გავიზარდეთ, დავფრთიანდით, დავმეგობრდით და ასე ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით მოვდივართ ერთად სტუდენტები, მშობლები, ლექტორ-მასწავლებლები...

სწრაფად გარბის დრო, უკვე მეორე სემესტრი დაიწყო... გვიხარია, სიხარულით ველოდებოდით ამ დღეს. ახალი ენერგიით, ახალი შემართებით დავიწყეთ სწავლა და ახალ-ახალი წარმატებებიც არ დააყოვნებს...

მე, მჯერა ჩემი სტუდენტების, მჯერა ჩემი პედაგოგების, ჩვენი ერთიანი ოჯახის წარამტების...

ირმა ჯიხვაშვილი-გამთენაძე,
ქალაქ ტყიბულის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი

ის ჩვენი კურსდამთავრებულია!

გაიცანით ფარმაცევტული კომპანია „იმპექსის“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული მარიამ ქვილაძე

ლაგოდეხი

გულწრფელი სიყვარულით...

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ლაგოდეხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი წელს იუბილარია, სექტემებერში, გახსნის მეთხუტმეტე წელს იზეიმებს, თუმცა, როგორც საკმაოდ ცნობად, საკუთარ ხელწერის მქონე სასწავლო დაწესებულებას, მანამდეც ბევრი აქვს აღსანიშ-საზეიმო, განსაკუთრებული კი ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის უმაღლესი კრიტერიუმია, რომლის ზენიტში ასაყვანად აქტიურად იღწვის ორი მარინა, ერთი ქ.ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის გაანთლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი – მარინა ხაზარაძე, მეორე – მარინა ზიერიკაშვილი, ამავე სასწავლო ცენტრის მეთოდ კაბინეტის გამგე, ისინი თავიანთ პედაგოგებთან ერთად იღწვიან საგანმანათლებლო სპექტრის უკეთესი მომავლისათვის: შორენა ისკანდარიშვილი, სოფიკო ტაბატაძე, ნანა ივანეიშვილი, ქეთევან დოდაშვილი... ეს იმ პედაგოგების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სტუდენტების გულწრფელ სიყვარულს იმსახურებენ

P.S. – ლაგოდეხის სასწავლო ცენტრში განსაკუთრებული რუდუნებით ელოდებიან ჩვენი გაზეთის „ჩემი საქართველო-“ს ახალი ნომრის გამოსვლას.

დმანისი

გვიყვარს და გვეამაყება

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს ღირსეული ადგილი უკავია არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლებლებს შორის. მისი სასწავლო ცენტრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფუნქციონირებს. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი, დმანისის სასწავლო ცენტრია. რაიონში რაც ეს სასწავლო ცენტრი გაიხსნა, სულ რამოდენიმე წელია, გახსნის დღიდან ფუნქციონირება საკმაოდ წარამტებულად დავიწყეთ და ვცდილობთ, კვლავაც ღირსეულები და წარმატებულები ვიყოთ...

სასწავლებელში მართალია ბევრი სტუდენტი ეროვნებით ქართველი არაა, მაგრამ ეს სრულიად არ გვიშვლის მუშაობაში ხელს, ისინი მუდმივად ცდილობენ ქართველებს არ ჩამორჩნენ და დღენიადაგ ცოდნის გაღრმავებისათვის იღწვიან.

დიახ, ჩვენი სტუდენტები მონდომებით სწავლობენ, ცდილობენ მოწინავენი იყვნენ და თავიანთი სწავლითა და ყოფაქცევით ასახელონ სასწავლებელი. გარბის დრო, უკვე მეორე სემესტრი დაიწყო, წინ ჩათვლები, გამოცდები გველოდება, რომლისთვისაც განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ.

გვიყვარს და გვეამაყება ჩვენი სასწავლებელი...

ნონა აფარსიძე.
ქალაქ დმანისის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი

აკადემიური ქალაქი – ინტელექტ უკრაინა

აკადემიური ქალაქი საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო-პედაგოგიური პროექტის „ინტელექტ უკრაინა“-ს წევრი გახდა

უკრაინის სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის მიმართ მზარდი ინტერესი, ბოლო პერიოდში, მსოფლიოს ყველა კუთხიდან, განსაკუთრებულია, ამიტომაც საერთაშორისო პროექტში „ინტელექტ უკრაინა“ მისი ჩართულობა დამფუძნებლის ეგიდით, შემთხვევითი არაა, პროექტში, რომელიც სამეცნიერო სასწავლო-პედაგოგიურ მიმართულებას წარმოადგენს და უკრაინის აკადემიური ელიტითაა დაკომპლექტებული, საამაყოა, რომ პირველი უცხოური საგანამანათლებლო სივრცე, რუსთავის აკადემიური ქალაქი, აღნიშნული პროექტის სრულფასოვანი წევრი გახდა და პირველ საერთაშორისო კონფერენციაშიც – „პედაგოგიური მეცნიერების ძირითადი მიმართულება, ტრადიციები და ინოვაციები“ – მიიღი აქტიური მონაწილეობა. საკონფერენციო მსვლელობისას პროექტის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ტატიანა კოსტანტინენკომ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქართულ სამეცნიერო სპექტრს და მის წარმომადგენელს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს, თანამედროვეობაზე მორგებული ძალზე საინტერესო სტატიისათვის „თეორიული და პრაქტიკული ასპექტები მსოფლიო პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში“, რომელიც საერთაშორისო ჟურნალში „განათლება და პედაგოგიური მეცნიერება“ დაიბეჭდა.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00 27-99-00; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369